პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №16

ქ. თბილისი 11.09.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

კარლო კერვალიშვილი - სსიპ - პროფესიული კოლეჯის - ,,მოდუსის" დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;
ნინო ჩიქოვანი - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
მალხაზ შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
მიხეილ ჭელიძე – ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ წარმომადგენლები:
ლაშა ხახაუტაიშვილი - დირექტორი

ირმა მეგრელიძე - ხარისხის მენეჯერი

სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსის" წარმომადგენელი:
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისის'' წარმომადგენლები:
ნონა ღუდუშაური - დირექტორი

დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე

ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

დარეჯან გულაზიანი - იურისტი

სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსის" წარმომადგენლები:
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი

მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე

მედეა კაკურია - რეესტრის წარმოების სპეციალისტი

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
მარიამ მესხიშვილი - დირექტორი

ირმა ლომაია - სასწავლო პროცესის მენეჯერი

ეკა დარჩიაშვილი - საქმისწარმოებისა და კადრების მართვის მენეჯერი

ნატო ზაქარეიშვილი -კოლეჯის წარმომადგენელი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

თამარ კაკუტია,
ხათუნა მაისაია,
იაზონ დანელია,
შორენა ჯაფარიძე,
ნინო ბერძენიშვილი,
შორენა ხუბუნაია,
თეა ლილუაშვილი,
პაატა ცაგარეიშვილი,
ზაირა ბერიძე,

თეა მაისურაძე,
თამარ რემიშვილი,
ქეთევან ჯანელიძე
მანანა მოისწრაფიშვილი,
ირაკლი სალუქვაძე,
ნინო ხაჩიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:20 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ამიტომაც ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მისადმი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დააკისრა მანანა მახარაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის'' ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,სასტუმრო მომსახურების'', ,,სარესტორნო მომსახურების'', ,,შედუღებისა'' და ,,მასაჟისტ-რეაბილიტატორის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

6. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

8. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

9. სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსისათვის" ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,კულინარიის ხელოვნების'' და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

10. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

11. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ლაშა ხახუტაიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით დღის წესრიგით მეორე და და მეოთხე საკითხები განხილულიყო სხვა დანარჩენი საკითხების განხილვის შემდგომ, რადგანაც საბჭოსათვის სურდა გარკვეული მტკიცებულებების წარდგენა, რომლის მოწოდებაც გვიანდებოდა.

თავმჯდომარემ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, დღის წესრიგით მეხუთე და მეექვსე საკითხები საბჭომ განიხილოს მეოთხე და მეხუთე საკითხად.

ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით მეათე საკითხად განსაზღვრულია სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა. საბჭოს მიმართა შუამდგომლობით აღნიშნული საკითხი საბჭომ განიხილოს დღის წესრიგით პირველ საკითხად.

საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობებს და კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
7. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსისათვის" ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,კულინარიის ხელოვნების'' და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
9. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
10. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
11. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის'' ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,სასტუმრო მომსახურების'', ,,სარესტორნო მომსახურების'', ,,შედუღებისა'' და ,,მასაჟისტ-რეაბილიტატორის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
12. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - მანანა მოისწრაფიშვილმა და ირაკლი სალუქვაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N736 ბრძანების საფუძველზე, 2018 წლის 25, 26 და 27 აგვისტოს, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსიში".

შენიშნა, რომ სსიპ - პროფესიული კოლეჯი ,,ბლექსის" პერსონალის მხრიდან იგრძნობოდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მაღალი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი და მზაობა მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები გაეზიარებინათ. აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალური რესურსი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს, თუმცა შენიშნა, რომ შენობაში საჭიროა სარემონტო სამუშაოების შესრულება.

აღნიშნა, რომ კოლეჯს დასამატებლად წარმოდგენილი აქვს 5 პროგრამა: „ელექტროობა" „კონდიტერია"; „საავტომობილო გზების მშენებლობა"; „მშენებლობის წარმოება / იატაკისა და ფილის სამუშაოები"; „სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა / ქვის სამუშაოების წარმოება". აღნიშნა, რომ ხუთივე პროგრამა აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს და შესაბამისად დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. აღნიშნა, რომ ,,ელექტროობის'' პროგრამის გარდა ოთხივე პროგრამის განხორციელება იგეგმება დუალური მიდგომით, მათ შორის ერთი პროგრამა (მშენებლობის წარმოება / იატაკისა და ფილის სამუშაოები) განხორციელდება როგორც დუალური. ასევე მოდულური მიდგომით.

დასკვნაში დაფიქსირდა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა დაეყრდნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და დაწესებულების სამოქმედო

გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები.

დაწესებულებას პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს სამმხრივი მემორანდუმები უვადოდ. ვიზიტის პერიოდში მოხდა შერჩევით პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო პირობები და ჩატარებული იქნა ინტერვიუ პრაქტიკის კოორდინატორებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათი ჩართულობა და ინფორმირებულობა პროფესიული პროგრამების ავტორიზაციისთვის მომზადებაში.

აქვე შენიშნა, რომ ექსპერტები ადასტურებენ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის მიღების შესაძლებლობას, როგორც დაწესებულებაში ასევე პრაქტიკის ობიექტებზე.

ნინო ჩიქოვანი დაინტერესდა, დუალური პროგრამების ფარგლებში რამდენ ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ, მათ შორის სამშენებლო მიმართულებით.
მაია თოიძემ უპასუხა, რომ დუალური პროგრამების მიზნებისათვის ჯამში 19 ორგანიზაციასთან თანამშრომლობს კოლეჯი, მათ შორის 11 ტურიზმის მიმართულებით და 8 სამშენებლო მიმართულებით, მათ შორის 4 საგზაო მშენებლობის მიმართულებით. აღნიშნა, რომ უკვე დაზუსტებულია თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს წელს თითოეული ორგანიზაცია. აღნიშნა, რომ ისინი დაინტერესებული არიან სტუდენტთა მიღებით და ამას მოწმობს გასულ წლებში მათთან თანამშრომლობის საკმაოდ ნაყოფიერი გამოცდილება. აღნიშნა, რომ გასულ წელს კულინარიის დუალურ პროგრამაზე მიიღეს 15 პროფესიული სტუდენტი, ერთ-ერთ ორგანიზაციასთან გაფორმებულია სამხრივი ხელშეკრულება და კვირაში ორ დღიანი მუშაობის შემთხვევაში სტუდენტისათვის ხელფასი შეადგენს 200 ლარს, რაც ლოგიკურია დასაქმებულის შესაბამისი ანაზღაურების მინიმუმ 20 %-ს ბევრად აღემატება. სამშენებლო მიმართულებით შესაძლოა ფიქსირებული ხელფასი არ იქნეს ხელშეკრულებაში და ანაზღაურება გამომუშავების მიხედვით იქნება.

მანანა მოისწრაფიშვილმა შენიშნა, რომ კოლეჯი იღებს ვალდებულებას იზრუნოს სტუდენტის შემდგომ განათლებაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებს შესაბამისი ორგნიზაცია დუალური სწავლების შემთხვევაში.
მაია თოიძემ დაადასტურა, რომ ნამდვილად შეიმუშავეს მსგავსი მექანიზმი, რადგან წინა პერიოდში პრაქტიკულად დადგა ამის საშიშროება. ორგანიზაციაში ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვალა მენეჯმენტი და სტუდენტთა შერჩევის დროისათვის აღნიშნულმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა თანამშრომლობაზე. კოლეჯმა გადაწყვიტა, რომ დაზღვევის მიზნით, გააფორმოს ოთხმხრივი ხელშეკრულება კოლეჯს, სტუდენტს(კანონიერი მეურვის - არასრულწლოვნის შემთხვევაში), ძირითად და ალტერნატიულ ორგანიზაციას შორის. იმ

შემთხვევაში, თუ ალტერნატიული ორგანიზაციაც ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს შიდა ან გარე მობილობას.
მამია ჯანჯალია დაინტერესდა სამშენებლო მიმართულებით ორგანიზაციებს თავისი დასაქმებულების გადამზადება ხომ არ სურს. მაია თოიძემ უპასუხა, რომ პროფესიული სტუდენტები შეირჩევიან ერთობლივად და წინასწარ არაა განსაზღვრული მსგავსი მოსაზრება. კოლეჯის დირექტორმა, გიორგი გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ ორგანიზაციები თანდათან აქტიურად ინტერესდებიან დუალური სწავლებით. თავის მხრივ კოლეჯი უზიარებს მათ წინა წლების გამოცდილებას ამ მიმართულებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის",,ელექტროობა'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის",,კონდიტერია'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის",,საავტომობილო გზების მშენებლობა '' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის",,მშენებლობის წარმოება / იატაკისა და ფილის სამუშაოები '' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის",,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა / ქვის სამუშაოების წარმოება'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტროობა (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	51	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84
2	კონდიტერია (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 010466	80	95	ქართული	29	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84

3	საავტომობილო გზების მშენებლობა (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 040690	84	99	ქართული	32	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84
4	მშენებლობის წარმოება / იატაკისა და ფილის სამუშაოები (1) , (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და . ფილის სამუშაოებში 040689	77	92	ქართული	40	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84
5	სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა / ქვის სამუშაოების წარმოება (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 040687	59	74	ქართული	30	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

საბჭოს სხდომას საკითხის განხილვის შემდეგ შემოუერთდა მალხაზ შურღულაია.

2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ კაკუტიამ, ხათუნა მაისაიამ და იაზონ დანელიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ კაკუტიამ აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს №752 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 25 და 26 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შესამოწმებლად.

შენიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ყურადღება გაამახვილა კოლეჯის მატერიალურ და ადამიანურ რესურსზე. აღნიშნა, რომ დასამატებელ პროგრამებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლები, რომელთა ნაწილი მსგავსი საგნობრივი პროგრამების განხორციელებაშიც მონაწილეობდნენ და მათ გასაუბრებისას ცალსახად აღნიშნეს მოდულური პროგრამების უპირატესობები საგნობრივთან შედარებით.

კოლეჯის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს კოლეჯის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის მეთოდი, კერძოდ (google forms) კითხვარის ფორმების გამოყენება ხარისხის შიდა კონტროლის მექანიზმის დახვეწის კუთხით, რაც შესაძლებლობას იძლევა ანალიზის გაკეთების მიზნით კოლეჯის მიერ სწრაფად, მოხერხებულად, ეკონომიურად განხორციელდეს შიდა გამოკითხვა.

ასევე, გაცნობითი პრაქტიკისთვის კოლეჯს აქვს მემორანდუმი გაფორმებილი აჭარის ტელევიზიასთან, სადაც არის კარგი შესაძლებლობა ინფრასტრუქტურის კუთხით, რათა სტუდენტმა პროფესიის შესახებ მიიღოს საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

გაცნობითი პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან: ბათუმის ბოტანიკური ბაღი (ბაღის დიზაინი), „ვი აი პი სტაილი" (თმის სტილისტი), სადაც არის კარგი შესაძლებლობა სტუდენტმა პროფესიის შესახებ მიიღოს საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ვიზიტის პროცესში პრაქტიკის ობიექტებზე გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს დამსაქმებლებისათვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადების კუთხით.

კოლეჯს მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ კატალოგთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ პროგრამების შესახებ ინფორმაცია ანონსის სახით შესაძლებელია განთავსებულ იქნას კატალოგში და/ან დაწესებულების ვებგვერდზე იმ პირთათვის, ვისაც აინტერესებს ინფორმაცია იმ პროგრმების შესახებ, რომლის განხორციელებასაც სავარაუდოდ მომავალში გეგმავს საზოგადოებრივი კოლეჯი;
2. სამოქმედო გეგმის უფრო დეტალურად გაწერასთან დაკავშირებით, კერძოდ, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სასურველი იქნებოდა გეგმის უფრო დეტალური ჩაშლა თვეების მიხედვით, აქტივობებით, შესრულების კრიტერიუმების მიხედვით.
3. განხორციელდეს ელექტრომატარებელზე არსებული სასწავლო რესურსების თითო ეგზემპლიარის ამობეჭდვა-აკინძვა.
4. თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთოვნები გაიწეროს თითოეულ პოზიციაზე ინდივიდუალურად, რათა თანამშრომლის დაქირავების პროცესი უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს.
5. პერსონალის პირადი საქმეებისათვის საჭირო დოკუმენტაცია სხვადასხვა დოკუმენტების ნაცვლად თავმოყრილი იქნას ერთიან ფოლდერებში და მიეცეს ერთიანი პირადი საქმის სახე.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა საკითხი, ექსპერტთა ჯგუფის სხვა შემადგენლობით და აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში ამ ექსპერტთა ჯგუფებს მსგავსი რეკომენდაციები აქვთ. დაინტერესდა რა პოზიცია აქვს კოლეჯს ამ რეკომენდაციების მიმართ.

ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. აღნიშნა, რომ ამ დროში რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო უკვე გათვალისწინებულია, იგეგმება ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება რეკომენდაციების გათვალისწინებით.

აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმას ვადა სექტემბერში გადის და შესაბამისად, ახალი გეგმის შემუშავება მოხდება რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თამარ კაკუტიამ შენიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტები განხორციელდა ერთმანეთის მიყოლებით და ლოგიკურია დაწესებულებამ ვიზიტის დროს ვერ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, თუმცა შენიშნა, რომ კოლეჯის გადასაწყვეტია, რეკომენდაციებს გაითვალისწინებს თუ არა.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“,,ბაღის დიზაინი'' მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“,,თმის სტილისტი'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღას'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კომპიუტერული ქსელი და სისტემები (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 040173	90	120	ქართული	30	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
2	ბაღის დიზაინი (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში 010168	75	105	ქართული	28	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
3	თმის სტილისტი (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 080396	61	76	ქართული	30	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანებით (№702/ი. 03.08.2018) ცვლილება შევიდა "სასტუმრო, რესტორანი, კვების" ჩარჩო დოკუმენტში, რის საფუძველზეც დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა მოდიფიცირებული პროგრამა. შესაბამისად, დადგა საჭიროება ცვლილება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში და კულინარიის ხელოვნების პროგრამის კრედიტების რაოდენობები ჩამოყალიბდეს 80-ით და 95-ით შესაბამისად ქართულენოვანი სტუდენტებისათვის და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამის შესაბამისად.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალ ტალღისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ,,კულინარიის ხელოვნების'' ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კულინარიის ხელოვნება (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 010465	80	95	ქართული	30	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
							30	ქ. ბათუმი ლ. ასათიანისა და კ. მარჯანიშვილის ქუჩების კვეთა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

4. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, კარლო კერვალიშვილმა, როგორც კოლეჯის დირექტორმა, განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხის განხილვისას თავმჯდომარის ფუნქციის შესრულება საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით დაეკისრა საბჭოს წევრს, მამია ჯანჯალიას.

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა მადონა გოგობერიშვილი, რომელმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - შორენა ხუბუნაიამ, თეა ლილუაშვილმა და პაატა ცაგარეიშვილმა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს №705 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 20 და 21 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი სსიპ პროფესიულ კოლეჯ „მოდუსში". ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის", „სამკერვალო წარმოების" და „კონსულტანტ-გამყიდველის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტებმა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნიეს კოლეჯის მუდმივი სწრაფვა სიახლეებისადმი და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისადმი. მაგალითად, კოლეჯი, სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილ თანამედროვე და ინოვაციურ მიდგომას, რაც გამოიხატება, პროფესიული სტუდენტების, კოლეჯში არსებული სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში/ფაბლაბში აქტიური ჩართულობით. მათი ნამუშევრები გამოიფინა და დიდი წარმატებით სარგებლობს სხვადასხვა ინოვაციური ნამუშევრების გამოფენებს შორის.

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი" შეიქმნა სტუდენტთა თვითმმართველობის საინიციატივო ჯგუფი, რომლის ძირითადი მიზნებია: კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მონაწილეობა კოლეჯში მიმდინარე პროცესებში; სტუდენტების სოციალური, კულტურული, პროფესიული, სპორტული და სხვა აქტივობების ორგანიზება და ხელის შეწყობა. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება; პროფესიული განათლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის გაზრდა და ა.შ. უკვე განხორციელდა არაერთი საინტერესო აქტივობა მათი ინიციატივით, სტუდენტები მუშაობენ თვითმმართველობის დებულების შემუშავებაზე. უახლოეს პერიოდში იგეგმება შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება, რომელიც სისტემაში მოიყვანს და დაარეგულირებს სტუდენტური თვითმმართველობის შექმნის, მართვის და განხორციელების პროცედურებს. ამასთანავე, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები ამ ეტაპზე უკვე აქტიურად ჩაერთნენ პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების წარმოების ინიციატივაში. აღნიშნული პორტფოლიო, პროფესიული სტუდენტის სწავლის დასრულების შემდეგ ხელს შეუწყობს დამსაქმებლებთან საკუთარი ძლიერი მხარეების წარმოდგენას. პორტფოლიოში შედის, ყველა ის საუკეთესო ნამუშევარი, რომელიც პროფესიულმა სტუდენტმა სასწავლო პროცესში შექმნა.

ასევე, საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნიეს კოლეჯში, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (მარაგების) მიღების, აღრიცხვის, მართვისა და გაცემის პროცედურის შესაბამისად შექმნილი სასწავლო მასალების აღრიცხვისა და ხარჯვის უწყისები. უწყისი მოიცავს ინფორმაციას, ერთი პროფესიული სტუდენტის მიერ 10 დღის მანძილზე გახარჯული სასწავლო მასალების შესახებ, რომელიც დასტურდება პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის ხელმოწერით.

შორენა ხუბუნაიამ შენიშნა, რომ ვიზიტის დროს მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

<u>ქვესტანდარტი 2.1 (ბ) -</u> ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა სამკერვალო წარმოებისა და კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობათა ნუსხაში მითითებული შემდეგი ინვენტარი:

- პოსტტერმინალი - ერთი ცალი
- ქსოვილის სიგრძის საზომი - 1 ცალი
- მიკროსკოპი - 2 ცალი
- საფეიქრო ლუპა - 15 ცალი

- მარტინის ტიპის პორტარტული ანთროპომეტრი - 1 ცალი

აქვე შენიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა აღნიშნული ინვენტარის შესყიდვის თაობაზე განაცხადი. დოკუმენტის თანახმად აღნიშნული ინვენტარის მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო 40 დღე.

<u>ქვესტანდარტი 2.7 -</u> დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ადაპტირებული სველი წერტილი და ლიფტი. ვიზიტის პერიოდისათვის მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ეკატერინე ნარეშელაშვილმა შენიშნა, რომ მთავარია სასწავლო პროცესის დაწყებისათვი,ს დასრულდეს სარემონტო სამუშაოები და უკვე გამოსწორებული იყოს აღნიშნული ხარვეზი.

მადონა გოგობერიშვილმა წარმოადგინა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები და ფოტომასალა.
კარლო კერვალიშვილმა განმარტა, რომ კიბის უჯრედი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოეწყოს ადაპტირებული პანდუსები. დაწესებულებაში არსებობდა ლიფტისთვის განკუთვნილი შახტა, სადაც მიმდინარეობდა ლიფტის კაბინის მონტაჟი ვიზიტის დროისათვის და დასრულდა ვიზიტის შემდგომ.
მანანა მახარაშვილი დაინტერესდა, თუ არსებობს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ლიფტის სარგებლობის დასკვნა. კარლო კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ ამ დროისათვის არ არსებობს შესაბამისი დასკვნა, თუმცა შენიშნა, რომ ლიფტი უკვე ფუნქციონირებს.

შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ კოლეჯს მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:
ქვესტანდარტი 1.1 - დაწესებულებამ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავებისას, სასურველია გადახედოს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მარტის №44 ბრძანებით დამტკიცებულ - **„სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, კრედიტების გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურას“**, რაც დაეხმარება ტექნიკური თუ სხვა ხასიათის შეუსაბამობების აღმოფხვრაში, კერძოდ:

- ✓ სამკერვალო წარმოებისა და კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ უცხო ენას ასწავლის დაწესებულება;
- ✓ სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების** კომპონენტში შეფასების მეთოდი/მეთოდების ნაწილში რეკომენდაციის სახით მოცემული ჩანაწერები შეიცვალოს მოცემულობის შესაბამისად;
- ✓ სამივე პროფესიული საგანანათლებლო პროგრამის მოდულების დამხმარე ჩანაწერებში - **„დამატებითი საჭიროება მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“** დაწესებულებამ ასახოს საკუთარი ხედვა და მიდგომები შესაბამისი მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- ✓ ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის მე-8 პუნქტში - **სტრუქტურა და მოდულები**, პროგრამის სტრუქტურის აღწერის ნაწილში მოცემულ ჩანაწერში - **„საწარმოო**

პრაქტიკა“/“პრაქტიკული პროექტი“, მიეთითოს მხოლოდ პრაქტიკული პროექტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

ქვესტანდარტი 1.4 - დაწესებულებამ, შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად.

ქვესტანდარტი 2.9 - სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ხელს უნდა უწყობდეს დაწესებულების, როგორც ინსტიტუციის განვითარებას. ამიტომ, მათი შემუშავებისას დაწესებულებამ უნდა გამიჯნოს პერსონალის მიერ ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოები იმ აქტივობებისგან, რაც დაწესებულების განვითარებას უზრუნველყოფს და შესაბამისად შეადგინოს სამოქმედო გეგმები.

ქვესტანდარტი 3.3 - ადამიანური რესურსების მართვის პროცედურაში ნათლად ჩამოყალიბდეს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, კერძოდ, განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაზუსტდეს პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეში სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

კოლეჯის დიექტორმა კარლო კერვალიშვილმა 1.4 ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი წარადგენს სსოპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აპოსტილით დამოწმებულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა აპლიკანტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ აქვს მიღებული განათლება.
ექსპერტთა რეკომენდაციას - ,,სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების კომპონენტში შეფასების მეთოდი/მეთოდების ნაწილში რეკომენდაციის სახით მოცემული ჩანაწერები შეიცვალოს მოცემულობის შესაბამისად'' - გარკვეულწილად არ იზიარებს დაწესებულება.

კარლო კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ მიაჩნია, პროგრამის განხორციელებისას, როგორც პროფესიულ მასწავლებელს, ასევე სტუდენტს უნდა ჰქონდეს შეფასების რამდენიმე მეთოდიდან არჩევანის გაკეთების საშუალება. მის მოსაზრებას დაეთანხმა მანანა მახარაშვილი.
შორენა ხუბუნაიამ შენიშნა, რომ მისი რეკომენდაცია ეხება იმ შემთხვევებს როცა **,,სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების** კომპონენტში შეფასების მეთოდი/მეთოდების ნაწილში, რიგ შემთხვევებში, ტექნიკური ხარვეზის შედეგად სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერებია დატოვებული და დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მოდულებში სარეკომენდაციო ჩანაწერები არ უნდა ფიქსირდებოდეს. დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას,

მამია ჯანჯალიამ შენიშნა, რომ პრაქტიკულად ყველა ხარვეზი აღმოფხვრილია. აღნიშნულს დაეთანხმენ საბჭოს წევრებიც.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
მამია ჯანჯალიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისთვის",,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

მამია ჯანჯალიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისთვის",,კონსულტანტ-გამყიდველის'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

მამია ჯანჯალიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისთვის",,სამკერვალო წარმოების '' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
2	კონსულტანტ-გამყიდველი (1)	მესამე	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020256	56	71	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
3	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 040966	99	114	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, კარლო კერვალიშვილმა, როგორც კოლეჯის დირექტორმა, განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხის განხილვისას თავმჯდომარის ფუნქციის შესრულება საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით დაეკისრა საბჭოს წევრს, მამია ჯანჯალიას.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა მეოთხე საკითხმა. კოლეჯმა მოიპოვა დამატებით სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელზეც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 90-ს. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 800-ით. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა 2018 წლის 12 მარტს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №35 გადაწყვეტილებით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 451-ით. შესაბამისად სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსს'' პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე უნდა განესაზღვროს 541-ით.

დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნული ცვლილებას დაეთანხმნენ.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

მამია ჯამჯალიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯი ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 541- ით.

საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა მიხეილ ჭელიძემ.

6. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - შორენა ხუბუნაიამ, ზაირა ბერიძემ და თეა მაისურაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კოლეჯს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს მაღალკვალიფიციური პერსონალი.

შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 14 აგვისტოს №747 ბრძანების საფუძველზე, 2018 წლის 23 და 24 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისში". ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „საოფისე საქმის", „ვებ ინტერფეისის დეველოპერისა" და „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა მარეგულირებელი აქტები და დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. განხორციელდა ინტერვიურება „საოფისე საქმის", „ვებ ინტერფეისის დეველოპერისა" და „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან. პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს აკმაყოფილებს და დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. შენიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაფისირებული ცალკეული შეუსაბამობები ვიზიტის დასრულებამდე გამოსწორდა, შესაბამისად დასკვნაში არ იქნა დაფიქსირებული, როგორც ხარვეზი.

აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია. კარლო კერვალიშვილმა შენიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობენ დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

ნონა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ კოლეჯს ამ პროგრამების მიმართულებით უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება და ასევე შესაბამის პრაქტიკის ობიექტებთანაც დიდიხანია რაც თანამშრომლობს.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისისთვის'' ,,ელექტროობის'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისისთვის'' ,,ვებ ინტერფეისის დეველოპერის'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისისთვის'' ,,საოფისე საქმის'' მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტროობა (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე	ვებინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	საოფისე საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	80	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

7. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა მეექვსე საკითხმა. კოლეჯმა მოიპოვა დამატებით სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელზეც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 160 -ს. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 1000-ით. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა 2018 წლის 7 სექტემბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1080-ით. შესაბამისად სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე უნდა განესაზღვროს 1240-ით.

დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნული ცვლილებას დაეთანხმნენ.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1240-ით.

8. სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსისათვის" ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების" და „ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ რემიშვილიმა და ქეთევან ჯანელიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ბლექსიში" ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 23-24 აგვისტოს. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარიის ხელოვნება" და „ინფორმაციის ტექნოლოგიის" ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით. კერძოდ, თითოეული პროგრამისთვის კოლეჯს სურვილი აქვს პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 60 პროფესიული სტუდენტით. ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №48 გადაწყვეტილებით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს პროგრამებისთვის „კულინარიის ხელოვნება" – 15 და „ინფორმაციის ტექნოლოგიის" - 40. შენიშნა, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროგრამა მოდულური მიდგომით ხორციელდება, ხოლო „კულინარიის ხელოვნება" აქამდე კოლეჯში ხორციელდება დუალური მიდგომით და ამავდროულად, კოლეჯს სურს განახორციელოს მოდულური მიდგომითაც. შენიშნა, რომ კოლეჯს შეუძლია „კულინარიის ხელოვნების" პროგრამაზე კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით მიიღოს 60 სტუდენტი მხოლოდ მოდულური მიდგომით ან 62 სტუდენტი მხოლოდ დუალური მიდგომით. თუმცა, დაწესებულებას არ სურს პროგრამაზე 60 სტუდენტზე მეტი. ასევე, ცენტრის დირექტორის ბრძანებით (№702/ი. 03.08.2018), ცვლილება შევიდა "სასტუმრო, რესტორანი, კვების" ჩარჩო

დოკუმენტში, რომლის საფუძველზეცაა შედგენილი "კულინარიის ხელოვნების" მესამე საფეხურის პროგრამა, დაწესებულებამ მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება და შეიცვალა კრედიტების რაოდენობა.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება, ასევე ,კოლეჯის მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება. აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შენიშნა, რომ კოლეჯს მიეცა რეკომენდაციები:

1.კატალოგის გააუმჯობესებისთვის

ქვესტანდარტი 1.2 - ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს სარეკლამო/საინფორმაციო დოკუმენტს, სასურველია მასში აისახოს დამატებითი ინფორმაციაც: დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების შესახებ, ასევე ფოტოებს და სხვა. დაწესებულებას შეუძლია კატალოგში აგრეთვე ასახოს:

- დაწესებულების ისტორია;
- აკადემიური კალენდარი;
- ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ;
- პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- ინფორმაცია პრგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;
- ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში;
- პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში;
- წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია

2.ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრისთვის

ქვესტანდარტი 3.1- დოკუმენტში - სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" დირექტორის ბრძანება N 1-02/123 24/08/2018 საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ - საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ერთ-ერთი მთავარი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა **„უმაღლესი აკადემიური განათლება"**, რომელიც უნდა შეიცვალოს ტერმინით **„ აკადემიური უმაღლესი განათლება".**

3.სამოქმედო გეგმის გაუმჯობესებისთვის:

ქვესტანდარტი 2.9- სასურველია დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები.

მამია ჯანჯალიამ შენიშნა, რომ იცნობენ რეკომენდაციებს, მითუფრო, რომ ერთდროულად რამდენიმე ვიზიტი განხორციელდა და ყველა ჯგუფის დასკვნები ცნობილია მათთვის.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

მანანა მახარაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის პროგრამის მოდულების პროფესიული მასწავლებლის მაღალკვალიფიციურობის შესახებ.

ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი აქტურად მუშაობს პრაქტიკის ობიექტებთან და ინსტრუქტორებთან და მათთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ჩართული არიან პროგრამების ადაპტირებაში, პასუხისმგებლობას იზიარებენ და მზად არიან პროგრამების განსახორციელებლად.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსისათვის" ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,კულინარიის ხელოვნების'' მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსისათვის" ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №48

გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ,,კულინარიის ხელოვნების“ მესამე საფეხურის და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს შესაბამისად, 60-ით თითოეულ პროგრამაზე (მის: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კულინარიის ხელოვნება (1), (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 010465	80	95	ქართული	60	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	60	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

9. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა პირველმა და მერვე საკითხებმა. კოლეჯს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გაეზარდა ორ პროგრამაზე. ასევე მოიპოვა დამატებით ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელზეც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 182-ს. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 600-ით. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა 2018 წლის 6 მარტს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №13 გადაწყვეტილებით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 489-ით. შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე უნდა განესაზღვროს 736-ით.

დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ ცვლილებას დაეთანხმნენ.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №16 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 736-ით.

საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ჩიქოვანმა.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო არაა უფლებამოსილი განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული დარჩენილი განსახილველი საკითხები:

10. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
11. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის'' ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,სასტუმრო მომსახურების'', ,,სარესტორნო მომსახურების'', ,,შედუღებისა'' და ,,მასაჟისტ-რეაბილიტატორის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
12. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საკითხების განხილვა გადაიდო 2018 წლის 12 სექტემბერს დაგეგმილ საბჭოს სხდომაზე.

18:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
კარლო კერვალიშვილი

მდივანი
მანანა მახარაშვილი